პოსტ-საბჭოთა ქართული კინო ენის ძიებაში

მაგისტრანტი: აკაკი ჭაბაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე კინომცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები (კინომცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მხეიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად,

აკაკი ჭაბაშვილი

26.06.2020

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი, შეისწავლის პოსტ-საბჭოთა საქართველოში კინო-ენის ჩამოყალიბებას და განვითარებას. სხვადასხვა პერიოდში რამდენიმე სტილურად თუ შინაარსობრივად მნიშვნელოვანი კინო-ნამუშევრებზე მსჯელობის საფუძველზე, ვიმსჯელებ თუ როგორ განვითარდა, რა პროცესები, შინაარსები თუ ესთეტიკური ნიშნები იკვეთებოდა დამოუკიდებელი საქართველოს კინემატოგრაფში.

ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა ქართველი ავტორების მოსაზრებები, ამა თუ იმ სურათის შესახებ. ამასთან ერთად ვიყენებ კონტენტ-ანალიზს, კულტურის კვლევის მეთოდს და კინო გამოსახულების ვიზუალურ ანალიზს. სხვადასხვა ავტორის მოსაზრებებზე დაყრდნობით და ასევე ჩემი ინტერპრეტაციით შევეცდები ჩამოვაყალიბო ის მოკლე გზა, რომელიც ქართულმა კინემატოგრაფმა განვლო პოსტ-საბჭოთა ყოფაში.

მიღებული შედეგები დაგვეხმარება, უკეთ დავინახოთ, რა მიმართულებები, შინაარსები, გამოსახვის ესთეტიკური ნიშნები იკვეთებოდა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ავტორთან.